იურიდიული
დახმარების
სამსახური

იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ

იურიდიული დახმარების სამსახური არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფს **უფასო სამართლებრივ დახმარებას** გადახდისუუნარო ბენეფიციარისთვის, ხოლო **უფასო სამართლებრივ კონსულტაციას** ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის.

ვინ ითვლება გადახდისუუნაროდ?

- გადახდისუუნარო პირი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000-ს ან ნაკლებს;
- გადახდისუუნაროდ, ასევე, ითვლება 100 000 ან ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირი, რომელიც მიეკუთვნება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს:
  - მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წელს მიუღწეველი ბავშვი;
  - ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;
  - 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;
  - რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

იურიდიული დახმარება მოიცავს:

- სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას;
- წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით.
- წარმომადგენლობას სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს ხარჯზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ვის შეუძლია ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით სისხლის სამართლის საქმეებში?

ბრალდებულს სავალდებულო წესით ენიშნება ადვოკატი, თუ:

1. არასრულწლოვანია;
2. არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
3. აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
4. გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
5. ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
6. მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
7. სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
8. თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
9. გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
10. არაიდენტიფიცირებული პირია;
11. განიხილება მისი გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი.

იურიდიული დახმარების სამსახური არ არის უფლებამოსილი დანიშნოს ადვოკატი, თუ პირი უკვე სარგებლობს საკუთარი ხარჯებით აყვანილი ადვოკატის მომსახურებით.

სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულს ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც სასამართლოს შეფასებით აჭიანურებს საქმის განხილვას.

18 წლიდან 21 წლამდე ასაკის ბრალდებული ან მსჯავრდებული სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით (მოთხოვნის შემთხვევაში).

ვის შეუძლია ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში?

იურიდიული დახმარება (ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარმომადგენლობა), უზრუნველყოფილია **გადახდისუუნარო პირებისთვის** საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, და ასევე იმ შემთხვევაში თუ:

- ბრალდებული/მსჯავრდებული გადახდისუუნაროა;
- გადახდისუუნარო სამართალდამრღვევი/სავარაუდო სამართალდამრღვევი პირის მიმართ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, სახდელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად;
- პაციენტი/ბრალდებული, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, სტაციონარში მოათავსეს (აღნიშნულ შემთხვევაში, პირის გადახდისუუნარობას არ აქვს მნიშვნელობა);
- პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის სასამართლოში განხილვისას, მისი გადახდისუნარიანობის მიუხედავად.

არასრულწლოვანებისთვის როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებით (სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოში), თუ საქმეში არ მონაწილეობს პირის მიერ აყვანილი ადვოკატი;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი;

მხარდაჭერის მიმღებ პირთა დაცვისათვის:

- პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხის სასამართლოს მიერ განხილვასთან დაკავშირებით;
- თუ მხარდაჭერის მიმღები პირი წარმოადგენს მხარეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეში.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთათვის:

- თუ საქმეში არ მონაწილეობს მათ მიერ აყვანილი ადვოკატი;
- თუ სასამართლო განიხილავს „დამცავი ორდერის“ გამოცემის საკითხს;
- „შემაკავებელი ორდერის“ გამოცემის შემთხვევაში, თუ ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი აკმაყოფილებს გადახდისუუნარობის კრიტერიუმს;
- თუ სასამართლოს განსახილველი საკითხი გამომდინარეობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტიდან;
- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, მიუხედავად მისი გადახ-დისუუნარობისა, თუკი საქმე ეხება იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-25 პუნქტში ჩამოთვლილ საკითხებს;
- სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, გადახდისუუნარო პირისათვის, თუკი პირი არის ოჯახური დანაშაულის ან ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული. ამ შემთხვევაში, გადახდისუუნაროდ მიიჩნევა პირი, თუკი იურიდიული დახმარების სამსახურისთვის მიმართვამდე, 12 თვის განმავლობაში, მისი დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, ამავდროულად, მის სახელზე ბანკში გახსნილ ანგარიშზე არსებული თანხის ოდენობა შესაბამისი ცნობის გაცემის დროს არ აღემატებოდა 500 ლარს. ამასთანავე, ბოლო 90 დღის განმავლობაში, აღნიშნულ ანგარიშზე არსებული თანხის ბრუნვა 1500 ლარს არ აღემატება.

თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის:

- თუ განიხილება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული დავა;
- სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა უზრუნველყოფილია მიუხედავად თავშესაფრის მაძიებლის/საერთაშორისო დაცვის მქონე პირის გადახდისუნარიანობის ფაქტისა, ხოლო სასამართლოში წარმომადგენლობა კი, მიუხედავად გადახდისუნარიანობისა და საქმის მნიშვნელობის/სირთულის ფაქტისა.

საგამონაკლისო წესით ადვოკატის დანიშვნის წესი

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება იმ პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც **არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი** და ამავდროულად იგი არის:

1. **მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი პირი, რომელიც:**
   - მომართვამდე რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ითვლებოდა გადახდისუუნაროდ და ენიჭებოდა სახელმწიფო ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, მაგრამ მომართვისას მისი ბოლო მონაცემი გადასულია არქივში;
   - თუ პირის ოჯახი არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და წარმოდგენილი სარწმუნო დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დასკვნისათვის, რომ მისი ოჯახი იმყოფება ისეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ მიერ ადვოკატის დაქირავებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებას.

2. **მძიმე ან განუკურნებელი დაავადებით დაავადებული პირი,** რომლის ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2013 წლის 15 თებერვლის, N01-6/ნ ბრძანებით, ასევე, საქართველოს მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ შესაბამისი დადგენილებით და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;
3. **მარტოხელა მშობელი;**
4. **მარჩენალ დაკარგული;**
5. **პენსიონერი;**
6. **ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი;**
7. **ჰუმანიტარული კავშირის „კათარზისი“ (სათნოების სახლი) ბენეფიციარი;**
8. **იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატი, ადვოკატის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;**
9. **პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი.**

უფასო იურიდიული დახმარების ცხელი ხაზი:

1485 ან 032 292 00 55

ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

ვებ-გვერდი: www.las.ge

www.children.las.ge

ბროშურა მომზადდა **იურიდიული დახმარების სამსახურის** მიერ **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი** (EWMI) **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) დაფინანსებით.

ბროშურის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია **იურიდიული დახმარების სამსახური** და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

მობილური აპლიკაცია: